**ტექნიკური დავალება**

**პროექტის დასახელება:**
საქართველოს ბანკის ობიექტი #1-ს ენერგეტიკული მომარაგებისთვის, მონიტორინგის სისტემის მოწყობა.

**პროექტის აღწერა:**
საქართველოს ბანკის ობიექტის ენერგეტიკული მომარაგებისთვის მოსაწყობია მონიტორინგის სისტემა.
აღნიშნული ელ. მომარაგება მოიცავს: $6kV$ ის გამაწილებელ მოწყობილობებს ATS-ით, მართვის და დაცვის აპარატურით ( $ABB\ UniSec$ ხუთი უჯრედი და $REF-615F$ დაცვის რელეები) ; ორ ცალ $6/0.4-630\ kVa$ ძალოვან ტრანსფორმატორს; სამ ცალ გენერატორს $500\ kVa$ , $500\ kVa$ და $550\ kVa-$ სიმძლავრით; 0,4kV ის ორ ცალ ATS-ს ($Lovato$) ; დიზელის სარეზერვო 5000ლ. ავზს.

**ძირითადი მოთხოვნები:**

- ადგილზე ვიზიტი და მოწყობილობების შესწავლა შემოთავაზების წარდგენამდე. შეთავაზებაში დეტალურად უნდა იყოს აღწერილი, თუ როგორ დაკმაყოფილდება წინამდებარე ტექნიკური დავალების ყველა პუნქტი;
- კარადა რომელშიც დამონტაჟებული იქნება მონიტორინგის, გადამცემი მოწყობილობები უნდა იყოს არანაკლებ IP 65 შესრულების;
- მონიტორინგის კარადის კომპლექტაცია, საჭირო სენსორები, სამონტაჟო მასალები და კომპონენტები სრულად უნდა შედგებოდეს სერიულად წარმოებული სერთიფიცირებული მოწყობილობებისგან;
- მართვის საშუალებად უნდა გამოიყენებოდეს რომელიმე ცნობილი ბრენდის პროგრამირებადი ლოგიკური კონტროლერი (PLC) და პროგრამირების ენა თავსებადი უნდა იყოს IEC 61131 სტანდარტთან;
- კარადის კომპლექტაციაში უნდა იყოს დამოუკიდებელი უწყვეტი კვების წყარო;
- სამონტაჟო სენსორების კაბელები მოთავსებული უნდა ცეცხლმედეგ გარცმაში;
- მონიტორინგის სისტემა უნდა გადმოსცემდეს შემდეგ მინიმალურ ინფორმაციას:
    - ქსელის პარამეტრებს:
        1. $6\ kV$ -ის მხარეს REF-615F - დან
        2. $0{,}4\ kV$ -ის მხარეს Lovato - დან
    - ტემპერატურას:
        1. ორი $0{,}4\ kV$ გამანაწილებლის ტემპერატურა;
        2. ორი სატრანსფორმატორო ოთახის ტემპერატურა;
        3. $6\ kV$ -ის გამანაწილებლის პემპერატურა.
    - $6\ kV$ - ის ძირითადი დაცვის რელეს და ATS- ის მდგომარეობა (ავარიის კოდები, ლოგები) REF- დან.
    - $0{,}4\ kV$ ის ორი ცალი ATS-ის მდგომარეობა;
    - დიზელის მოცულობა სარეზერვო ავზში;
    - დიზელის შემავსებელი ტუმბოს სამუშაო რეჟიმები(ჩართული/გამორთული);
    - გენერატორების მდგომარეობა და ლოგები;
- სისტემა ინფორმაციას უნდა გადმოსცემდეს საქართველოს ბანკის მონაცემთა ბაზაში დამვეთთან შეთანხმებული პროტოკოლით და ვიზუალიზაცია უნდა ჰქონდეს კონტროლერის დონეზე;

- ზედა დონის კომპიუტერებზე ვიზუალიზაცია (SCADA ფუნქციები) უნდა განხორციელდეს შემუშავების ისეთ პროგრამულ პლატფორმაზე, რომ შემკვეთს, სისტემის განვითარების შემთხვევაში არ დასჭირდეს დამატებითი ლიცენზიის შესყიდვა;
- სისტემის პროგრამული უზრუნველყოფა უნდა იყოს გახსნილი და ყველა საწყისი კოდი გადაეცეს შემკვეთს;
- წრედის ყველა კაბელს და საკლემო მომჭერს უნდა გააჩნდეს სქემის შესაბამისი მარკირება;
- შემსრულებელმა დამკვეთთან წინასწარ უნდა შეათანხმოს წრედების შეერთების სქემები, გამოყენებული აპარატურა და ინფორმაციის გადმოცემის ინტერვალი.

**სამონტაჟო სამუშაოები:**

- შემსრულებელმა ყველა სამუშაო უნდა ჩაატაროს საქართველოში მოქმედი ნორმებისა და სტანდარტების გათვალისწინებით.
- შემსრულებელმა უნდა წარმოადგინოს დამონტაჟებული მოწყობილობების ყველა ტექნიკური დოკუმენტაცია (ტექნიკური პასპორტი, ექსპლუატაციის სახელმძღვანელო და ა.შ.).

**საგარანტიო ვადები:**

- გამოყენებულ მოწყობილობებზ-ქარხანა/დამამზადებლის მიერ მინიჭებული ვადა.
- შესრულებულ სამუშაოებზე  - არა ნაკლებ 2 წელი.